

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერია

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ქალაქის ადმინისტრაციულ ერთეულში, კოლხეთის უბანში, სარეზერვო კომერციული ზონის (შზ-5) №12-ე ტერიტორიის განვითარების განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფცია

სტრატეგიული დოკუმენტის დასახელება: ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ქალაქის ადმინისტრაციულ ერთეულში, კოლხეთის უბანში, სარეზერვო კომერციული ზონის (შზ-5) №12-ე ტერიტორიის განვითარების განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფცია

დამგეგმავი ორგანო: ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერია

სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელების არეალი: ქალაქ ზუგდიდის ადმინისტრაციულ ერთეული, თეთრი გიორგის ქუჩაზე არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: 13.31.74.259; 16003.00 მ2)

წარმოდგენილ სკრინინგის განცხადებასა და სტრატეგიული დოკუმენტის პროექტთან დაკავშირებული წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები შეგიძლიათ წარუდგინოთ სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს **2022 წლის 18 მაისის** ჩათვლით, მისამართზე: ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის გამზირი №6, ან ელ. ფოსტის მისამართზე: eia@mepa.gov.ge.

სტრატეგიული დოკუმენტი – საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე გამოცემული ადმინისტრაციული ორგანოს კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი, რომლითაც ცალკეული სექტორებისთვის დგინდება სამომავლო განვითარების ჩარჩო „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ III თავის შესაბამისად და კოდექსის I და II დანართებით გათვალისწინებული საქმიანობების სახეობებისთვის განისაზღვრება მახასიათებლები ან/და მოცულობები;

სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასება (სგშ) – „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ გათვალისწინებული სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელებით გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე შესაძლო ზემოქმედების შესწავლისა და ზოგადი პროგნოზირების პროცედურა. სგშ მოიცავს სკოპინგს, სგშ-ის ანგარიშის მომზადებას, საზოგადოების მონაწილეობას, უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოებთან კონსულტაციების გამართვას და მათგან მიღებული რეკომენდაციებისა და შეფასების შედეგების მხედველობაში მიღებას სტრატეგიული დოკუმენტის მიღებისას/დამტკიცებისას;

სკრინინგი – პროცედურა, რომელიც განსაზღვრავს სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების ჩატარების საჭიროებას.



N 21/1575
10/05/2022

1575-21-2-202205101047



**ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერს
ბატონ მამუკა წოწერას**

ბატონო მამუკა,

თქვენი 2022 წლის 3 მაისის №24-2422123125 (№1346; 03.05.2022) წერილის პასუხად, რომელიც ეხება ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ქალაქის ადმინისტრაციულ ერთეულში, კოლხეთის უბანში, სარეზერვო კომერციული ზონის (შზ-5) №12-ე ტერიტორიის განვითარების განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფციისა და სკრინინგის განცხადების წარმოდგენას სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების სკრინინგის გადაწყვეტილების მიღების მიზნით, გთხოვთ, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ 23-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, უზრუნველყოთ წარმოდგენილი დოკუმენტაციის მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებგვერდსა და საინფორმაციო დაფაზე განთავსება. ამასთან, გთხოვთ, უზრუნველყო დამადასტურებელი ფოტომასალის სააგენტოში წარმოდგენა.

დამატებით გაცნობებთ, რომ სკრინინგის პროცედურის გასავლელად სააგენტოში წარმოდგენილი ინფორმაცია, გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის შესაბამისად, განთავსებულია სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზეც (იხ. ელ. ბმული <https://nea.gov.ge/Ge/GZSH/19>). საზოგადოების მხრიდან, სტრატეგიული დოკუმენტის პროექტსა და სკრინინგის განცხადებასთან დაკავშირებული მოსაზრებების და შენიშვნების წარმოდგენა შესაძლებელია **2022 წლის 18 მაისის ჩათვლით**.

იხ. დანართი

პატივისცემით,



თეიმურაზ მთივლიშვილი



სააგენტოს უფროსის დროებით ფუნქციების შემსრულებელი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო